



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N4

ქ. მარნეული

10.02.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, კოტე ბოჭოიძე, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ირაკლი ბურნაძე, რამიზ გულმამედოვი, ქამილ ალიევი, რაფიკ მუსაევი, გივი ქველაძე, ისმაილ ბაირამოვი, რუსტამ ფაშაევი, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რაგიმ ასკეროვი, მამედ მამედოვი, ლევონ აკოპიანი, რაფიკ ჯაფაროვი, ზურაბ ჭონიაშვილი, აგილ ფაშაევი, ელხან მუფტიევი.

არ ესწრებოდა:

- ნაზი აბდულაევი, რიჩარდ გიგანი, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, ჯომგუნ ზეინალოვი, ბესიკ გუჯეჯიანი, აიდა ხაჩიკიანი, არსენ ახვერდიანი, სულეიმან ხალილოვი, მაილ მიქიევი, მახირ იუსუბოვი, ზურაბ სხირტლაძე.

სხდომას ესწრებოდა:

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „მარნეული TV“-ს ტელევიზიის წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 თებერვლის N03/683 წერილის განხილვის შესახებ

## განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი მეტრეველმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N5. 10.02.2016 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 თებერვლის N03/683 წერილით შემოსული დოკუმენტაციის გათვალისწინებით ითხოვა მხარდაჭერა, რათა მოწონებული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგიონალური პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ შერჩეული პროექტი ალგეთის საბავშვო ბაღის მშენებლობის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი მეტრეველმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N22. 10.02.2016 წ).

საკრებულოს თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი მეტრეველმა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის მეოთხე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

ვალერი მეტრეველი

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელმა: